საქართველოს მთავრობის განკარგულება

№931 2016 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის მის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის გარეშე, იჯარის წესით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიეცეს თანხმობა, მის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება (მის.: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 84, სათაო ცენტრალური ოფისის სერვის-ცენტრში I სართულზე მდებარე 10.93 კვ.მ ფართი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.14.13.004.002), 3 (სამი) წლის ვადით, აუქციონის გარეშე, იჯარის წესით გადასცეს საბანკო დაწესებულებას - მასში საბანკო დაწესებულების სერვის-ცენტრის განთავსების მიზნით.

2. ქონების იჯარის წესით სარგებლობაში გადაცემის საფასური განისაზღვროს არანაკლებ აუდიტორის/ექსპერტის დასკვნის საფუძველზე დადგენილი ფასის ოდენობით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**